შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსი“

მისია *შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ მისიაა, შექმნას პროფესიონალიზმის ზრდადობაზე დაფუძნებული, ჯანსაღი სასწავლო გარემო როგორც ქართული, ისე საქართველოში მცხოვრებელი ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის, არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის სკოლის მიერ შეთავაზებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისების მიწოდების გზით - მიიღონ თანამედროვე ტიპის განათლება, მათი საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით გამოავლინონ და განავითარონ თავიანთი პოტენციალი და მოახდინონ ინტეგრაცია მსოფლიო და ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში.*

ხედვა

„შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსი“, 2030 წლის ბოლომდე გეგმავს, სკოლაში არსებული მატერიალური და ინტელექტუალური რესურსის სრული მოდერნიზაციით, ასევე, ღია და გამჭირვალე გზით მოძიებული კვალიფიციური კადრების მეშვეობით თავისი მოსწავლეების, მშობლების და სასკოლო თემსათვის უზრუნველყოს საქართველოს ისტორიულ-ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებზე დაფუძნებული, წარმატებული საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, რის საფუძველზეც ჩვენი სკოლა გახდება ზოგადი განათლების სერვისის თვალსაჩინო მიმწოდებელი ქვეყანაში მცხოვრები, უცხო ენაზე განათლების მიღების მსურველი არაქართულენოვანი მოსწავლეებისა და სხვა

ღირებულებები

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი მიდგომებითა და პრინციპებით:

- *საკუთარი შესაძლებლობების და მიღწეული შედეგების მუდმივი ზრდა-განვითარება.*
- *ინოვაცია და კრეატიულობა;*
- *თანამშრომლობითი კულტურის დანერგვა და პასუხისმგებლობის გაზიარება.*
- *ტოლერანტობა და ურთიერთპატივისცემა.*